პრეს რელიზი

პროექტი - *„საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებები საქართველოში (გათავისუფლება)“*
პროექტის ინიციატორი და განმახორციელებელი *- ასოციაცია „ევროპის დროით“*
პარტნიორი - *კავკასიის უნივერსიტეტი.*
მხარდამჭერი/დამფინანსებელი - *ფრიდრიხ ებერტის ფონდი*

2022 წლის 30 ნოემბერს, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერითა და ასოციაციის „ევროპის დროით“ ორგანიზებით, კავკასიის უნივერსიტეტში, 10.45 საათზე, საკონფერენციო დარბაზში (პაატა საკაძის ქ. 1) ტარდება **კვლევის შედეგების პრეზენტაცია,** პროექტის ფარგლებში: **„საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებები საქართველოში (გათავისუფლება)“.**

კვლევისა და პოლიტიკის დოკუმენტში ასახულია კვლევის შედეგები და რეკომენდაციები საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვისა და საჯარო მმართველობის გაძლიერების მიზნით.

2013 წლიდან (იმ პერიოდიდან, როცა საქართველომ დაიწყო ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) შესრულება), ინტენსიურად მიმდინარეობს საჯარო სამსახურის რეფორმა. ევროკომისიის მხრიდან, საქართველოში განხორციელებული საკანონმდებლო თუ საიმპლემენტაციო პოლიტიკა, დადებითად იქნა შეფასებული. თუმცა დემოკრატიის გაძლიერებისათვის, რეფორმის შედეგებსა და პროცესებზე მუდმივი მონიტორინგი აუცილებელია. კვლევა ამით არის ნაკარნახევი.

შრომისა და დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვა. თავის მხრივ, საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის განსაკუთრებული ნაწილია გათავისუფლების რეგულირება.

კვლევის მიზანია შეფასდეს მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის დინამიკა და საჯარო მმართველობის რეფორმის შედეგები საჯარო მოხელეთა გათავისუფლების მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე.

კვლევა ოთხი ძირითადი ნაწილისგან შედგება:
ა) შესწავლილია საჯარო მოხელეთა გათავისუფლების მდგომარეობა 2017-2021 წლების პერიოდში;
ბ) განხილულია სასამართლო გადაწყვეტილებები (ზოგიერთი მნიშვნელოვანი პრაქტიკა);
გ) ჩატარებულია სოციოლოგიური გამოკითხვა გათავისუფლებულ საჯარო მოხელეებთან;
დ) შეჯამებულია კვლევის შედეგები და შემუშავებულია რეკომენდაციები.

კვლევის ავტორები არიან კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი:
ეკატერინე ქარდავა, სამართლის დოქტორი, ჟან მონეს პროფესორი (კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი), კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
ეკატერინე გასიტაშვილი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი;
დავით ომსარაშვილი, სოლიდარობის ქსელი, უფროსი იურისტი; კავკასიის უნივერსიტეტის დოქტორანტი.

კონტაქტი:
ეკატერინე ქარდავა, ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე, 593277514, eka_kardava@yahoo.com